

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**  
**ს ა უ ი ნ ა ნ ს ო ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა ს ტ უ ღ ე ნ ტ ი ა ნ**  
**(ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა)**

№ \_\_\_\_\_

ქ. თბილისი

\_\_\_\_\_/\_\_\_\_\_/201 წ.

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, შემდგომში „უნივერსიტეტი“, მისი რექტორის - არჩილ ფრანგიშვილის სახით, რომელიც მოქმედებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, მეორე მხრივ, სტუდენტი (სტუდენტის არასრულწლოვნების შემთხვევაში მშობელი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი)

(გვარი, სახელი, მამის სახელი)

ხელმძღვანელობენ რა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის №127 ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით“, განათლების სფეროში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას და თანხმდებიან შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი:**

ხელშეკრულების საგანია სტუდენტისათვის, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, სასწავლო მომსახურების გაწევა, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის საფასურის გადახდის შემთხვევაში.

**2. მხარეთა უფლება მოვალეობანი:**

**2.1. უნივერსიტეტი ვალდებულია:**

- 2.1.1. სტუდენტის მიერ რეგისტრაციის გავლის შემთხვევაში იგი ჩარიცხოს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე.
- 2.1.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოს შესაბამისი აკადემიური პერსონალითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;
- 2.1.3. სტუდენტი მოამზადოს და მისი ცოდნის დონე შეაფასოს საერთაშორისო და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი სტანდარტების საფუძველზე შემუშავებული სასწავლო კურიკულუმისა და სილაბუსების, აგრეთვე უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესების შესაბამისად.
- 2.1.4. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ (60 კრედიტი) გადასცეს პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი – სერტიფიკატი და ჩარიცხოს უნივერსიტეტში ბაკალავრიატის სწავლების პირველ წელზე;
- 2.1.5. სტუდენტს, რომელიც ვერ დააგროვებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ 60 კრედიტს ერთი სასწავლო წლის (ორი სემესტრის) ვადაში, შეუწყვიტოს სტუდენტის სტატუსი და მისცეს მას შესაბამისი ცნობა.

**2.2. სტუდენტი ვალდებულია:**

- 2.2.1. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთ) საბანკო დღეში უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხოს ერთი წლის სწავლის საფასურის – 1000 (ათასი) ლარის მინიმუმ ნახევარი, ხოლო \_\_\_\_\_%-იანი სახელმწიფო დაფინანსებისას – მინიმუმ \_\_\_\_\_ ლარის ოდენობით;
- 2.2.2. დარჩენილი სწავლის საფასურის გადახდა უზრუნველყოს მეორე სემესტრის დაწყებამდე;
- 2.2.3. ესწრებოდეს ლექციებს, სემინარებს და სხვა სახის მეცადინეობებს, დადგენილ ვადებში ასრულებდეს კურიკულუმითა და სილაბუსით გათვალისწინებულ სამუშაოებს;
- 2.2.4. დაიცვას სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმატიული და უნივერსიტეტის მიერ გამოცემული აქტები;
- 2.2.5. სტუდენტი, რომელიც არ შეასრულებს ამ ხელშეკრულების 2.2.2 პუნქტით განსაზღვრულ ვალდებულებას, სემესტრულ გამოცდებზე დაიშვება მხოლოდ გამოცდების დაწყებამდე, აღნიშნული პუნქტით განსაზღვრული თანხისა და გადაუხდელი თანხის 10%-ის ოდენობით პირგასამტეხლოს გადახდის შემთხვევაში.

**2.3. უნივერსიტეტს უფლება აქვს:**

- 2.3.1. წინასწარი გაფრთხილების გარეშე შეუჩეროს სტატუსი სტუდენტს, რომელიც არ შესრულებს ამ ხელშეკრულების 2.2.1 პუნქტში, აგრეთვე 2.2.2 ან 2.2.5 პუნქტებში გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

**2.4. სტუდენტს უფლება აქვს:**

- 2.4.1. პირველ სემესტრში რომელიმე სასწავლო კურსში/კურსებში F-უარყოფითი შეფასების მიღებისას, ხელახლა გაიაროს მეორე სემესტრში; ხელახლა გასავლელი სასწავლო კურსის/კურსების შესაბამისი კრედიტების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 15-ს;

2.4.2. სასწავლო კურსის (საგნის) ხელახლა გაავლისათვის შესაბამისი განცხადებით მიმართოს დეკანს და გადაიხადოს სასწავლო კურსის/კურსების შესაბამისი ღირებულება, რომლის ოდენობა დგინდება სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის შესაბამისად;

**3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წესი:**

- 3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ერთი სასწავლო წლის (ორი სემესტრის) განმავლობაში;
- 3.2. სტუდენტის ინიციატივით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში იგი ვალდებულია, 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით აცნობოს ამის თაობაზე უნივერსიტეტის ადმინისტრაციას. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, სტუდენტს არ დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სწავლის საფასური.
- 3.3. უნივერსიტეტის ინიციატივით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებას, მასთან გაფორმებულ სხვა ხელშეკრულებებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სტუდენტთა ეთიკის კოდექსს, უნივერსიტეტის წესდებასა და შინაგანაწესს.
- 3.4. სტატუსის შეჩერებისას/შეწყვეტისას სტუდენტს არ დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სწავლის საფასური.

**4. ხელშეკრულების დამატებითი პირობები:**

- 4.1. სტუდენტი ხელშეკრულების გაფორმებამდე შესაბამის ფაქულტეტზე გაეცნობა სტუდენტის უფლება-მოვალეობას, სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციას და სხვ;
- 4.2. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა სახის უთანხმოება უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
- 4.3. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, თითოეული ხელმოწერი მხარისათვის გადასაცემად.

**მხარეთა რეკვიზიტები:**

**უნივერსიტეტი**

**სტუდენტი**

ს.ს.ი.პ საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტი  
რექტორი, პროფესორი არჩილ ფრანგიშვილი

-----  
(გვარი, სახელი, მამის სახელი)

ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქ.№77

-----  
(მისამართი)

საბანკო რეკვიზიტები:

“თი-ბი-სი“ ბანკი

ანგ. №3408001/GEL

მფო. 220101830

საიდენტიფიკაციო №211349192

პირადი № -----

პირადობის მოწმობის № -----

გაცემულია -----  
(მიერ)

-----  
(თარიღი)

ტელ: -----

-----  
(სტუდენტის ხელმოწერა)

-----  
(ხელმოწერა)

ა. ფრანგიშვილი

-----  
(მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერა)